15-ს ივნისს № 12. 1885 წელსა.

# მწყემსი

## ოფიციალური ნაწილი.

### საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის არქიეპისკოპოზის პავლეს მოწოდება.

მეოთხე საუკუნეში, როდესაც ქრისტიანობა აღიარებული იყო ქვეყანაზე უმთავრეს რელიგიათ, იგი დანერგულ იქმნა საქართველოში წმიდა ნინა განმანათლებელისაგან. მაგრამ საქართველოს ხალხის და საქართველოს ეკკლესიის გარეგანი ბედი სამძიმო იყო. განგებას ნებავდა, რომ ჯვარი, ჩადგმული საძირკვლად საქართველოს ეკკლესიისა, როგორც მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა, ყოფილიყო აგრეთვე ზომათ მისი (ეკკლესიის) აღორძინებისა ქრისტეს სარწმუნოებაში და მოწამეობითი გვირგვინათ; წილ-ხდომილს ღვთისმშობელისას, საქართველოს ეკლიანი გზა ერგო თავის ხვედრად. მხოლოდ დიდებული მეფობა სახელოვანი თამარისა იყო მთლად ბედნიერ დროთ საქართველოსთვის; დავით და ლუარსაბ აღმაშენებელნი და ზოგიერთი სხვა პირნი ძლივს ასწრებდენ მოეშუშებიათ სამშობლოსთვის მტერთაგან მოყენებული წყლულებანი. მტრები ხომ საქართველოს ურიცხვი ჰყავდა, მათგან მოვლენილ უბედურებათ რიცხვი არ ქონდა. აზიის ყველა მეომარი ხალხნი და მძვინვარე დამპყრობნი პირნი ჰბღალავდენ მას თავისი სისხლიანი ხელით და სტოვებდენ თავის შემდეგ სისხლის გვალებს. სპარსელები, არაბები, ხაზარები, თათრები, მანგოლები—ხან ერთი, ხან მეორე—ვარდებოდენ საქართველოს საზღვრებში, მუსრს ავლებდენ მისს ქალაქებს და სოფლებს, ანგრევდენ, აოხრებდენ და ამურტლებდენ წმ. ტაძართ, ხოლო უბედურ მცხოვრებთ, მეფეთ, ეკკლესიის მოძღვართ, უბრალო მორწმუნეთა აგდებდენ სიღარიბეში, ხშირად ჰკლავდენ შემდეგ მძიმე ტანჯვა-წვალებათა, მრავალი მიჰყავდათ ტყვედ და ჰყიდდენ მონად. განსაცდელთა წლებში საქართველოს შვილნი იჩენდენ საკვირველს სიმაცეს და სიმაგრეს ქრისტეს სარწმუნოებაში; არავითარი ტანჯვის არ ეშინოდათ მათ სარწმუნოების ერთგულობისთვის, და მთელი დასნი გმირთა, რომელთაც თავდადებით შესწირეს თვით თვისი სიცოცხლე ეკკლესიას და სამშობლოს, გამოდიოდნენ ქართველი ხალხიდგან. ამ ნაირად მცირე რიცხოვანი ხალხი არ დაიღუპა თავიანთ მტერთა ამაოხრებელ შემოსევითა და თავ-დასხმათაგან. საშინელის აოხრების შემდეგ იგი ისევ სულს იბრუნებდა და იწყებდა კეთილდღეობას. მაგრამ რადგან მთელს თავის ძალ-ღონეს ალევდა თავის თავის დაცვისათვის გმირულ საქმეებს,—ამიტომ საქართველოს და მასთან საქართველოს ეკკლესიასაც არ ჰქონდათ, არც ძალა ფართო შინაგანი განვითარებისათვის; თვით არსებობისთვის ბრძოლის დროს არ შეიძლებოდა განვითარებულიყო არც მოქალაქობა, არც მეცნიერობას, არც ღვთის-მეტყველების აზრს, თვით ძალ-ღონეს, რომელიც ასე საჭირო იყო თავის დაცვისათვის, შემოეპარა სისუსტე საქართველოს უთანაბრო ბრძოლაში მრავალ-რიცხოვან მტერთა. და საქართველო თავისი ეკკლესიითურთ იძულებული შეიქნა ეთხოვა მფარველობა ძლიერი რუსეთისთვის. მან იპოვა ეს მფარველობა,—და ამ მფარველობის ქვეშ დღეს იმაში ინერგება მოქალაქობა, ვრცელდება განათლება, ედგმება სათავე ფართო, ყოველ მხრიულს ხალხის განათლებას. მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ინტერესები არ შეიძლებოდა და არც შეიძლება დავიწყებულ იქმნენ ამასთან, და იქ, სადაც უფრო მალე ითხოვებოდა განსაკუთრებითი დახმარება მართლ-მადიდებლობის აღსადგენად და განსამტკიცებლად კავკასიაში, მართებლობისაგან დიდი ხანია ეძლევა ამისთვის დაწესებული შემწეობა. სახელდობ ესრეთი დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს უმაღლესად დამტკიცებულს 1860 წ. და ამ წელში სხვა რიგად შეცვლილს «მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას კავკასიაში».

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ საზოგადოებას ჰყავს თავისი მზრუნველობის საგნად მთიული ტომნი, ოდესმე ქრისტიანენი, შემდეგ კი, უბედურს ისტორიულს გარემოებათა მეოხებით, გამახმადიანებულები, ან უფრო სწორეთ ვსთქვათ,— მექონენი ისეთი სარწმუნოებისა, რომელშიაც ქრისტიანული, მაჰმადიანური და წარმართული სწავლა შეხედულობანი არეული არიან ერთმანეთში. იმ ადგილებს, სადაც სცხოვრობენ კავკასიის მოსახლენი, რომელთაც ერთგულათ დაუცავსთ მართლ-მადიდებლობა, საზოგადოება არ აწვდენს თავიანთს გავლენის და მზრუნველობის ხელს. მერე რა ძლიერ საჭიროებს აქ ხალხი ზნეობრივ-რელიგიურ დახმარებას! როგორ აუცილია აქაც მოქმედება ესრეთ-წოდებული შინაგანი მისსიისა! უქონლობა რელიგიურ ცოდნათა, სხვა-და-სხვა გვარი ცრუ-მორწმუნებანი, ცუდი ზნენი, რომლებიც შენიშნულია ძველიდგანვე მართლ-მადიდებელ ხალხში, ითხოვენ დაუყონებლივს ნამდვილს ზომებს მათ მოსასპობლად, როგორც სამღვდელოების მხრით, აგრეთვე ყველა მეშურნეთაგან ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და მართლ-მადიდებელი ეკკლესიის კეთილ-დღეობისა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ უკანასკნელ დროს კავკასიაში გამოჩნდენ მრავალ ცრუ-მორწმუნენი, რომელნიც ყოველი ღონის ძიებით სცდილობენ განაშორონ მართლ-მადიდებელნი მართლ-მადიდებელს ეკკლესიას და დააბან ისინი თავის დამღუპველს ბადეში. ლათინები, ლოტრანგები, ბაპტისტები, მალაკნები და სხვა მწვალებელნი თავიანთ წინამძღოლთა საშვალებით მართვენ კავკასიაში ქადაგებას, რომ მარლ-მადიდებელნი დაიყოლიონ თვის შემცდარს აზრებზედ, აუცილებლად საჭიროა ამიტომ ერთპირი წინააღმდეგობა ყველა მართლ-მადიდებელთა ამ როგორც ეკკლესიურის, აგრეთვე პოლიტიკურის ბოროტებისადმი, ამიტომ რომ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის მტერთ-მტერთ აგრეთვე რუსის ხალხისაც, ჰსურსთ დარღვევა არა მარტო მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა, არამედ რუსის ხალხისაც და რუსის სახელმწიფოისაც.

უმაღლესად დამტკიცებული «წესდებანი საეკკლესიო სამრევლო სკოლებზე», რამდენათაც შესაძლებელია მათი არსებაში მოყვანა საქართველოს საექსარხოსოში,—ხსნიან პირდა-პირს გზას სასულიერო-განმანათლებელი მოქმედებისთვის მხარის მართლ-მადიდებელ მცხოვრებლებში. მაგრამ რაღა თქმა უნდა, ყოველგვარი გაძლიერება მმართველობის კეთილ-დაწყებათა და მრავალი ზომანი, მომართულნი მათ (დაწყებათა) უფრო ღრმად ფეხის მოსადგმელად ხალხის ცხოვრებაში საქართველოს მართლ-მადიდებელ მცხოვრებთ შორის,—სასურველნი და აუცილებლად საჭირონი არიან. აი უმთავრესნი ამ გვარ ზომათაგან: ღვთის მსახურებითი საეკკლესიო და სხვა რელიგიურ-ზნეობრივი საზოგადო კითხვანი, ანუ საუბარნი, საღრმთო წიგნთა გავრცელება და აგრეთვე გამოცემა და გავრცელება მხარის მართლ-მადიდებელს ხალხში საყოველთაო გასაგები თხზულებათა რელეგიურ-ზნეობითი შინაარსით რუსულ და ქართულ ენებზედ და წმიდა მხატვრობათა ანუ სურათთა, გახსნასა საეკკლესიო სამრევლო წიგნთ-საცავთა და წიგნის მაღაზიათა და სხვ.

მსურდა რა მიმემართა ეს ზომები მხარის მართლ-მადიდებელ მცხოვრებთ რაც შეიძლება უმეტესი სარგებლობისადმი და იმავე დროს მიმეცა მათთვის უმეტესი განსაზღვრულება და სიმტკიცე მათი გამოყენების დროს საქმეში,—მე გადავსწყვიტე დაარსება «საქართველოს საექსარხოსოის მართლ-მადიდებელის ძმობისა» ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის, საქართველოის სახელით, იმ იმედით, რომ ამ გვარად გამომეწვია სასულიერო განათლების მეშურნენი ცხოველის მონაწილეობისადმი ამ გვარს ძვირფასს და ღვთის სასიამოვნო საქმეში და შემეერთებინა ერთად მათი მოსწრაფებანი და მეცადინეობანი ამ ასპარეზზე. დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი, რომელთაც გულთან დაახლოვებული აქვსთ მართლმადიდებელი ეკკლესიის და ხალხის ზნეობრივი რელიგიურის განათლების ინტერესები თანაგრძნობითს ხმას მოგვცემენ ამ მონაწილეობაზე და აღმოუჩენენ „საქართველოს საექსარხოსოის მართლ-მადიდებელს ძმობას“ თავის შეძლების დაგვარ შემწეობას პირადის შრომით ანუ ნივთიერის შეწირულობით.

შეწირულებანი ან ქვემდებარე განცხადებანი ეგზავნებიან ძმობის თავმჯდომარეს თბილისის სასულიერო სემინარიის მამა რექტორს, დეკანოზს პავლე ივანეს ძეს ჩუდეცკის. *)

*) შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი ამ საზოგადოების წესდება,

## ცირკულიარი
### ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა.

აპრილის 25-დგან 1885 წ. № 1694.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი მაცნობებს მე, რომ თბილისში მომხდარმა, 16 წარსულს იანვარს, საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრებამ, განიხილა რა კითხვა ფრიად არა-კმასაყოფელს რელიგიურ-ზნეობრივს მდგომარეობაზედ საქართველოს ხალხისა, რომელიც თითქმის სრულიად არ დაიარება სალმრთო ტაძრებში და თუ დაიარება, გულ-გრილად ეკიდება და არ მონაწილეობს ღვთის მსახურებას, გალობას და საეკკლესიო კითხვას,—გამოიყვანა ის დასკვნა, რომ ამ მოვლენის მიზეზს, სხვათა შორის, შეადგენს სათემო და სასოფლო მთავრობათა გულ-გრილი დამოკიდებულება ეკკლესიის საქმისადმი; ისინი არა თუ არ სცდილობენ მიიზიდონ ხალხი უქმე და სადღესასწაულო დღეებში სალმთო ტაძარში, არამედ თვითონ ატევებინებენ მას ამას სხვა და სძვა საწუთრო ზრუნვათა საგნებისთვის, არ შეაყენებენ რა ამ დღეებში საქმეების განრჩევათა სამსჯავროში და არ ჰკეტვენ სასმლის და სავაჭრო დაწესებულებათა თითქმის ღვთის მსახურების დროსაც კი.

ამისა გამო, მიუწერ ბ.ბ. მაზრის უფროსთ და ქალაქის პოლიციათა, მიიღონ რაც კი შეიძლება ფიცხელი ზომები, რათა კვირა-უქმე დღეებში წირვის გათავებამდის, თანახმად 16 მუხ. წეს. უწესოებ. მოსასპ. დანაშაულ. გამოც. 1876,—იკეტებიან ყველა სავაჭრო და სასმლის დაწესებულებანი განურჩევლად მოვაჭრეების სარწმუნოებათა, და აგრეთვე აღუკრძალონ სასოფლო მთავრობათ საზოგადო ყრილობანი და განრჩევანი ყოველგვარ საქმეთა ღვთის მსახურების შესასრულებლად დანიშნულს დროს.

---

## მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლების წესდებულება.

§ 8) წესდების შედგენა წიგნთა და სასწავლო საშვალებათა შენახვაზე და მიცემაზე.

9) სიის შედგენა საყოველ-კვირაო გაკვეთილთა კლასებში, დამტკიცებული პროგრამის თანახმად.

10) წლიური ანგარიშის განხილვა სასწავლო და ზნეობითი ნაწილთა შესახებ.

11) წლიური ანგარიშის შედგენა სასწავლებლის შესანახავად.

12) მართვა სასწავლებლის მეურნეობის ყველა ნაწილებისა და აგრეთვე სასწავლებლის ქონებისა და შენობებისა.

13) ვაჭრობათა წარმოება სასწავლებლისთვის საჭირო ნივთების ნარდად აღებაზე და გადაკვეთილის ფასით ზიდვაზე და კანონიერი საფუძვლით ამაზედ კანტრაქტების და პირობების შეკვრა, ანუ განკარგულება სასმელ-საჭმელთა და მასალათა მომზადებაზე, და აგრეთვე მუშაობის წარმოებაზე სამეურნეო საშუალებით, როდესაც ეს უფრო სასარგებლოდ აღმოჩნდება.

14) თვალის დევნება თავ-თავის დროზედ ფულების შემოსვლაზე, მათ ჩაწერაზე შემოსავლის წიგნში და ხარჯვაზედ წლიური ანგარიშასა და ცალკე მოწერილობისა დაგვარ.

15) შენახვა და შემოწმება სასწავლებლის ნაღდი ფულებისა საფუძველსა ზედა ამ საგანზედ საზოგადო სჯულდებათა.

16) წლიური ანგარიშის შედგენა ეკონომიური ნაწილის შესახებ.

17) შედგენა ნამსახურებით სიათა სასწავლებლის ყველა თანამდებობის პირებისა, გარდა სამმართველოს წევრთა ეპარქიის სამღვდელოებისაგან.

შენიშვნა. აწინდელი § 16 მუხლში მოხსენებული ანგარიშის საქვეყნოდ გამოცხადება ეპარქიის უწყებებში, ანუ მათი უქონელობისაგამო, ცალკე წიგნაკით, რომელიც ეგზავნება სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას.

§ 38. სამმართველოს ყველა საქმეების შესახებ თავმჯდომარე უდგენს ეპარქიის არქიერს ნამდვილ ჟურნალებს დასამტკიცებლად. თუ ყოვლად სამღვდელო დაინახავს ამას რაიმე მიზეზის გამო საძნელოდ, მაშინ მიუწერს სამმართველოს, თუ რაგვარი საქმეები უნდა წარადგინოს სამმართველომ მის დასამტკიცებლად.

§ 39. ყოველთვის, როცა რაიმე ეჭვი ან მიუხდომლობა საქმეების შესახებ, რომელნიც ეკუთვნიან სასწავლო აღზრდით ნაწილს, სასწავლებლის სამართველო თხოულობს სემინარიის სამმართველოს ჩვენებას.

§ 40. სამმართველოს სახელზე ყველა შემოსული ქაღალდები მიიღებიან მისს თავმჯდომარისაგან და მის მიერ ზედ-წარწერილებები თურთ გადაიცემიან სამმართველოში. სამმართველოდგან გამომავალი ქაღალდები ხელმოიწერებიან ან თავმჯდომარისაგან, ან, მისი შეტყობით, ზედამხედველის თანაშემწისაგან.

§ 41. საქმის წარმოებას სამმართველოში მართავს სამმართველოს წევრი მასწავლებელთაგან.

§ 42. ქაღალდების გადაწერისთვის სამმართველოს საქმეების შესახებ მისი თავმჯდომარე ქირაობს გადამწერთა.

შენიშვნა. მოსწავლენი სასწავლებელში არ შეიძლება მიშვებულ იქმნენ ქაღალდების გადასაწერად.

თავი VI.—სასწავლებლის ზედამხედველზე.

§ 43. სასწავლებლის ზედამხედველი მწესდება, ეპარქიის ყოვლად სამღვდელოს წარდგინებისამებრ, უწმიდესი სინოდის მიერ.

§ 44. ზედამხედველს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ხარისხი აკადემიის მაგისტრის ან კანდიდატის.

§. 45. ზედამხედველს ემორჩილებიან სასწავლებლის ყველა მასწავლებელნი.

§ 46. სასწავლებელში სამსახურს გარდა ზედამხედველი, შეძლებისა მებრ, უნდა თავისუფალი იყოს სხვა თანამდებობათაგან.

შენიშვნა. თუ ზედამხედველი დეკანოზია ან მღვდელი, მაშინ უნდა მსახურებდეს ან სასწავლებლის ეკკლესიაში, თუ არის იგი, ან ეკკლესიაში, რომელსაც არ ჰყავს ერთი მღვდლის მეტი და უპირატეს რომელიც უმრევლოა.

შენიშვნა. თუ სასწავლებლის ზედამხედველი არხიმანდრიტია ან იღუმენი და სასწავლებელი იმყოფება მონასტერში, მაშინ ამ შემთხვევაში იმას შეუძლია იყოს ამ მონასტრის წინამძღვრად.

§ 47. მართავს რა სასწავლებლის გამგეობის ყველა ნაწილებს, ზედამხედველი უმთავრეს ყურადღებას აქცევს სასწავლო-აღზრდით ნაწილს.

§ 48. ასწავლის რა კატეხიზმოს და ღვთისმსახურების განმარტებას, ზედამხედველი, დამოუკიდებლად ამისა, ვალდებულია: ნახულობდეს რაც შეიძლება ხშირად კლასებს, აკვირდებოდეს ზნეობას, მიმართულებას და ღონისძიებას სწავლებისას, თვალ-ყურს ადევნებდეს საგნების წარმატებით გავლას და პირადის გავლენით მიაქცევდეს მასწავლებლების მოქმედებას ერთი საზოგადო მიზნის მიღწევისადმი.

§ 49. ზედამხედველი თვალ-ყურს ადევნებს, რათა სასწავლებელში დადგენილი დროის განსაზღვრა მტკიცედ სრულდებოდეს, რათა როგორც მასწავლებლები, აგრეთვე მოსწავლეებიც ბეჯითად და თავის დროზედ დადიოდენ კლასებში, და რათა გაკვეთილების დროს ფიცხლად დაცულ იყოს ჯეროვანი წესი.

§ 50. Ⴉარუმართებლობის დროს მასწავლებლების მხრით ზედამხედველი აძლევს მათ სიტყვიერ შენიშვნათა და შთაგონებათა; თუ ამ ზომამ არ იმოქმედა, და აგრეთვე უფრო მძიმე უწესოების დროს ან როცა აუცილებელია რომელიმე მასწავლებელთაგანის დათხოვა უნიჭოების გამო, ამაზედ მოახსენებს ის ეპარქიის არქიერს.

§ 51. ზედამხედველი შუამდგომლობს ეპარქიის არქიერის წინაშე მასწავლებლების დაჯილდოებაზე, რომლებმაც გამოიჩინეს თავი ნიჭით და გულმოდგინებით თავიანთ მოვალეობათა აღსრულებაში.

§ 52. ზედამხედველი თვალ-ყურს ადევნებს, რათა მოსწავლეთ ჰქონდესთ უსაჭიროესი სასწავლო კუთვნილებანი.

§ 53. ზედამხედველს თვალი უნდა ეჭიროს მოსწავლეებზე კლას-გარეთაც, რაც შეიძლება ხშირად ნახულობდეს იმათ სადგომებზე და დაუღალავად ადევნებდეს თვალ-ყურს მათ ცხოვრებას და ყოფაქცევას.

§ 54. ზედამხედველი დროებით ითხოვს მასწავლებლებს სასწავლო დროს ვადით რვა დღემდის, თუ საჭიროება მოითხოვს.

§ 55. ყველა საჩივრებს სასწავლებლის შესახებ, სიტყვიერს, თუ წერილობითს ზედამხედველი, მათის მნიშვნელობისა დაგვარ, ან სწყვეტს თვისი უფლებით, ან შეაქვს სამმართველოს განსახილველად.

§ 56 თითოელი სასწავლო წლის გასვლის შემდეგ, ზედამხედველი ადგენს ვრცელს ანგარიშს სასწავლო და ზნეობითს ნაწილების შესახებ და, მის განხილვის შემდეგ სასწავლებლის სამმართველოსგან, უდგენს ეპარქიის არქიერს, რომელთაც გარდასცემს მას სემინარიის სამმართველოში განსახილველად.

§ 57. როგორც სასწავლებლის სამმართველოს თავმჯდომარე, ზედამხედველი საზღვრას დროს მისი სხდომებისას, ხსნის და ხურავს მათ, წარმოადგენს განსახილავად თავიანთ საგულობელ აზრებს, იცავს რიგს კითხვების განხილვის დროს, რომლებიც შემოაქვსთ სხვა წევრთ, თვალ-ყურს ადევნებს რიგიანობას და წესს სხდომებისას, ჰკრებს ხმათა, გამოთქმული აზრების საფუძვლით, წარმოადგენს გარდაწყვეტილობათა პროექტებს და ჟურნალზე ხელის მოწერის შემდეგ, შვრება განკარგულებათა თანახმად ამ წესწდებულების § 38.

15-ს ივნისს    წელიწადი მესამე.    1885 წელსა.

# მწყემსი

№ 12.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი" რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## პირველი კრება მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღდგინების საზოგადოებისა კავკასიაში—მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პავლეს თავს-მჯდომარეობით.

9 Ივნისს წირვის შემდეგ, თორმეტ საათზე შეიკრიბნენ საერო და სასულიერო წოდების პირნი, წევრნი ზემოხსენებულის საზოგადოებისა, მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ეგზარხოსის სასახლის ერთ ზალაში. აქ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესომ წაუკითხა შეკრებილს საზოგადოებას უწმიდესის და უმართებულესი სინოდის უქაზი. ამ უქაზში იყო მოხსენებული, რომ საქართველოს ეგზარხოსი არის თავს-მჯდომარე და უმახლობელესი გამგე ხსენებული საზოგადოების საქმეთა. ეს საზოგადოება იმყოფება მისი Იმპერატორებითი დიდებულების დიდის მთავრინას Ოლღა Თეოდორეს ასულის მფარველობის და უწმიდესის სინოდის უწყების გამგეობის ქვეშ.

Უქაზის წაკითხვის შემდეგ საქართველოს ეგზარხოსი, არქიეპისკოპოზი პავლე მიიქცა საზოგადოების შეკრებილებისადმი მშვენიერი, გრძნობით სავსე სიტყვით, რომელშიაც მადლობით მოიხსენია ყველა პირნი, რომელნიც ამ საზოგადოებას დახმარებია და დღესაც ეხმარებიან. შემდეგ სიტყვისა მაღალ ყოვლად სამღვდელო შებრძანდა შეკრებილებით სასახლის ჯვარცმის ეკკლესიაში, სადაც მან ქალაქის საპატიო სამღვდელოების თანადასწრებით გარდაიხადა სამადლობელი პარაკლისი. Დასასრულ პარაკლისისა წარმოთქმული იყო მრავალჟამიერობითი მოხსენება ხელმწიფე Იმპერატორისა, Იმპერატრიცისა, მემკვიდრის, დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის, მისი მეუღლისა და მთელი სამეფო სახლობისათვის. შემდეგ მოიხსენეს უწმიდესი სინოდი, თავს-მჯდომარე და ყველა წევრნი ხსენებული საზოგადოებისა. Ამის შემდეგ წარმოთქმულ იყო საუკუნო ხსენება ნეტარ-ხსენებულის Იმპერატორის Ალექსანდრე მეორის, იმპერატრიცის მარიამ Ალექსანდრეს ასულისა და ყველა ამ საზოგადოების გარდაცვალებულ წევრთა მოხსენებით.

Ეკკლესიიდგან საზოგადოება ისევ დაბრუნდა ეგზარხოსის ზალაში, სადაც საზოგადოების სეკრეტარმა ყველას გასაგონად წაიკითხა უმაღლესად დამტკიცებული წესდება ათს ფებერვლიდამ და ცხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტიდამ ამა წლისა. ამ კრებაზე საზოგადოების გამგე წევრებად იყვნენ ამორჩეულნი ხმის უმეტესობით ოთხი პირნი: გენერალი ერნს, გენერალი პალიბინი, დეკანოზი ზუმილევსკი და არხიმანდრიტი მაკარი. ბოლოს საქართველოს ექსარხოსმა ისურვა, რომ, საზოგადოების საქმე ამის შემდეგ უფრო რიგიანათ, წარმატებით და მოხერხებულათ წასულიყოს.

მოვაგონებთ «მწყემსის» მკითხველებს, რომ ამ საზოგადოების საქმეს განაგებდა საერო მთავრობა; ეს მთავრობა ამ საზოგადოების ხარჯით ინახავდა სამღვდელოებას და სკოლებს ოსეთის, სვანეთის და აფხაზეთის ზოგიერთს მხარეებში. ხელმწიფე იმპერატორმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ საზოგადოებას ყარაიაზე დიდი ადგილების მინიჭებით, მაგრამ სამწუხაროდ საქმე სასურველად არ მიდიოდა. იმედია, რომ ექსარხოსის გამგეობას ქვეშ ეს საზოგადოება უფრო უმჯობესად წაიყვანს თავიანთ საქმეებს.

---

## წერილი რედაქტორთან.

ყოველი სამღვდელო კრებული ჩვენის მართლმადიდებელის სარწმუნოებისა ვალდებული არის, რათა აღასრულებდეს თავის მოვალეობას და დანიშნულებას ისე, როგორც მოითხოვს მათგან სასულიერო კონსისტორიის წესდებულება და სასულიერო მართებლობის განკარგულება, მაგრამ, საუბედუროთ ჩვენდა, ამ მოვალეობას და დანიშნულებას ვერ ვასრულებთ რიგიანათ სამღვდელოები სხვა და სხვა მიზეზთა გამო. ამ მიზეზებში, ჩემის შეხედულობით, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ ზოგიერთ ადგილობით ბლაღოჩინთა. აი როგორ: როდესაც ბლაღოჩინები მიიღებენ სასულიერო მართებლობის განკარგულებას გამოსაცხადებლად რწმუნებულთა მათდამი საბლაღოჩინო სამღვდელოთადმი სახელმძღვანელოდ, ბლაღოჩინები შეჰკრებენ ერთ ადგილს სამღვდელოებას და გამოუცხადებენ მათ ამ განკარგულების ძალას. სამღვდელოები მოაწერენ ხელს ამ გამოცხადებაზე და წავლენ თავისთვის. შემდეგ რამოდენისამე დროისა რომ ჰკითხოთ ჩვენ თანამოძმეთა, თუ რა იყო ამ შეკრებილების მიზეზი და რაზედ მოაწერეთ ხელითქო, პასუხად გვაძლევენ: «ხელი კი მოგვაწერინეს, მაგრამ აღარც კი გვახსოვს რაზედ მოუწერეთ ხელიო.» ან კი რა გასამტყუნარია მღვდელი! რომელ ნასწავლ პირს შეუძლია, რომ ათი საგანი, ერთ საათში გამოცხადებული, დაისწავლოს და შთაიბეჭდოს გულშიდ. ხშირად ზოგი ბლაღოჩინები მიანდობენ თავის იასაულს და მოაწერინებენ ხელს სამღვდელოებას სხვა-და-სხვა განკარგულებაებზე. რომ სამღვდელოება გამოვიდეს ამ გაუთავებელის შეცდომისაგან, საჭიროა, რომ ბლაღოჩინებმა გადასწერონ ეს მოწერილობანი იმოდენ ეკზემპლიარად, რამოდენიც საჭირო იქმნება მის საბლაღოჩინო კრებულთათვის და დაურიგონ მღვდელთა სახელმძღვანელოდ; ამ საშვალებით შეიძლება სამღვდელოებამ რიგიანად აღასრულოს მთავრობის განკარგულება და აღარ შესცდეს. იმედია, რომ ამაზედ ყურადღებას მიაქცევს, ვისგანაც ჯერ არს.

მღვ. სპირიდონ აბულაძე.

---

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

«სახელმძღვანელო სამღრთო სჯულის სასწავლებლად შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია; ახსნით ლოცვები, ათი-მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა» და სხ. შედგ. მღვ. ნესტორ კუბანეიშვილისაგან. თბილისი 1885 წ. ფასი ეგზ. 60 კაპ.

სიხარულით აღვივსებით ხოლმე, როდესაც ვნახავთ ქართულს ენაზე ახალს გამოცემას და სიხარულითვე დავიწყებთ მის კითხვას. თუ შინაარსმაც დაგვაკმაყოფილა, მაშინ ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარა აქვს. მამა კუბანეიშვილის მიერ გამოცემულ წიგნზე ბევრი გაგვეგონა და ამიტომ მოვიპოვეთ რა მისი გამოცემა, დავიწყეთ ბეჯითად მისი გაცნობა. ვუზიარებთ მკითხველებს იმ მასალას, რომლითაც შეიძლება ყოველმა კაცმა გაიცნოს ზემორე აღნიშნული სახელმძღვანელო.

ყნა... სახელმძღვანელოს ჰქვიან: «სამღრთო». სამღრთო კი-არა, უნდა გეთქვათ საღმრთო, რადგან ამ სიტყვის ფესვი ღმრთ-ია და არა მღრთ-ი.—«შენ გააკეთე კიდობანი (დიდი ხომალდი), რომელშიაც დაეტიო შენ შენი სახლობით და კიდევ დაატიო... შვიდ-შვიდი რწყვილი»... (გვ. 16). ხომალდი, დაატიო, რწყვილი კი არა, ხომალდი, დატევა წყვილი უნდა ყოფილიყო.—«საყოველ-ქვეყნო წარღვნა»

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველ-ქვეყნოს მაგიერ დიდი ხანია ქართულად ხმარობენ სიტყვას: მსოფლიო,—«დარჩა მარტო ერთი კაცი, რომელსაც ჰქვიოდა» (გვ. 21). **ჰქვიოდა** რა სიტყვაა, ან სად იხმარება, რომ თქვენი წიგნი მრავალგან დაგიმშვენებიათ ამ უცხო სიტყვით. ძველს და ახალს ლიტერატურაში მარტო თქვენ წიგნში გვხდება ეს სიტყვა,—«მოამზადებინა მათთვის საჭმელი: პური და საუკეთესო ხბო» (გვ. 24). ხბო კი არ მოამზადა: ხბო დაჰკლა და მისი ხორცი მოამზადებინა.—«თუმცა ვართ ურთი-ერთ არს **მამრალობელ**». ეს უკანასკნელი სიტყვა ჩვენ სრულიად არ გვესმის.—«აი შურმა და სიძულვილემ **სანამ** მიაღწევია იოსების ძმებს!» ეს ფრაზა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან სანამ-ის მაგიერ უნდა ხმარებულიყო სადამდის.—«უთხრა: (იოსებმა მეპურეს) შენ სამ დღეს უკან **აგიყვანებენ**, თავს მოგჭრიან.» აგიყვანებენ, სამ დღეს უკან—ასრე ქართულად არ ამბობენ. «ღმერთმან ჰკითხა მოსეს»... მრავალგან გიხმარიათ კითხა, უნდა ყოფილიყო: ჰკითხა. «მარტის მეათე დღეს ჯოგიდგან თითო ბატკანი ერთი წლის, უმანკო მამრობითი სქესისა ამოერჩიათ». «დედა-ენაში» სწერია: ფარა-ცხვრისა, ჯოგი-ცხენ-ჯორისა და სხ. აგრეთვე ჩვენ არ გვესმის რა არის **უმანკო მამრობითი სქესი** და არც მოსაწონია თქვენი ფრაზის წყობილება.—«ყოველივე, რაც ღმერთმან მას უბრძანა და დასწერა ეს წიგნში». ეს ფრაზა, დამეთანხმეთ, არ შეშვენის სახელმძღვანელოს.—«მეორე დღეს ხბოს მსხვერპლი შესწირეს». თქვენი ნათქვამიდამ გამოდის, რომ მსხვერპლი ღვთისთვის კი არა, ხბოსთვის შეუწირავთ. აბა კარგა დაფიქრდით.—«შდაბნოში **გადატანილ** წვალების სახსოვრად»... «ზატანილი» სადაურია?—«კაცები უვლიდა (თუ უვლიდენ!) ხალხს.» «ისრაელების (თუ ისრაელებში?) შური და მტრობა რომ არ ჩამოვარდნილიყო».—«გვალვიდგან წყარო დაშრა». (გვალვისაგან.—«წადი ქაჩალო! წადი ქაჩალო!» (რა არის?).—«და სხვა უსჯულოებაში ჩადიოდენ». ამოდიოდენ, თუ ჩადიოდენ, ვინ იცის!—«მოგჯაქვა (?) შემდგომში ბაბილონის სამეფო **დაიპყრო მიდიმნელებმა**, (?)—როცა იოანნე ნათლის მცემელი **ნათელ დებდა** (?).—ანდრიამ მოიყვანა **მისი** (?) ძმა **სიმეონი**. მისი კი არა, თვისი. ყველგან, სადაც უნდა გეხმარნათ ნაცვალ-სახელი თვისი, გიხმარიათ მისი და ამის გამო აზრი არა თუ ბნელდება ზოგიერთგან, პირიქით მაგალითებრ: «იოხაბედმა (მოსეს დედამ) ლერწმებში ჩადგა კალათი და მის ქალს მარიამს უთხრა, ყური ეგდო და შეეტყო, რა შეემთხვეოდა ყმაწვილს.» თქვენი ნათქვამიდამ გამოდის, რომ ოთხი თვის ყრმას მოსეს ჰყოლია ქალი. ნაცვალ-სახელის «მისი»-ს მაგიერ უნდა გეთქვათ «თვისი». დოღმატიური ძალაც ეკარგება.—«ის მიექირავა ერთ კაცს.» მიქირავება არის: на прокатъ отдалъ себя. მიქირავების მაგიერ უნდა გეხმარათ: მოჯამაგირედ დაუდგა. ნეტარ არიან «სულით გლახაკნი... მათ ულვთოდა არაფერი არ შეუძლიათ». ულვთო, ულვთოება არის безбожіе, безбожникъ უნდა გეთქვათ: ულმერთოდ.—«უჭკუოს ჭკუის სწავლება». (უჭკუოსთვის).—მის ტანისამოსში იყო ერთი სულ მთლად მოქსოვილი ტანისამოსი, რომელსაც **ჰქვიოდა** (?) კვართი.—ღვთაებრივი სძალით (?).—«რომელსაც უძახით (?) ჩვენ». თითქმის ყველგან პირველი პირის მაგიერ გიხმარიათ მესამე.—სული წმიდის გადმოსვლა (მოფენა?).—ამთებული (ანთებული). ყუბანეიშვილი ჰხმარობს: სჯულს, შჯულს და რჯულს. დალოცვილო იხმარეთ ან ერთი, ან მეორე.—ნამყოფი плодъ კი არ არის, როგორი ჰაზრითაც თქვენ გიხმარიათ, არამედ წარსული, ნამყო ანუ ნამყოფი დრო, т. е. прошедшее время. Плодъ ქართულად—ნაყოფი. გარდა ამისა საუცხოვონია ჩვენთვის შემდეგი სიტყვები და ფრაზები: სიდომი, შურდუმი, კირიოს, სამთელი, დაკიდებენ, შეაქიანა, მტერები, მაგდანინელი, ემცხადებოდა, გაჭივრება, სასასმო, ყარაულ ქვეშ (?), გარმოსასახლებლად, როგორიც კაციც, მწყესავდა, სინდისი.—ერთი მაგალითიც: ქრისტიანე სთხოვს ღმერთს, რომ **მან** მოეხმაროს კაცს (იგი მოეხმაროს).

დარწმუნებთ პატიოსანი სიტყვით მამა ნესტორს, რომ ბევრით ნაკლები შეცდომები მოვიყვანეთ აქ, ვიდრე წიგნშია ამგვარები. ორთოგრაფიული, თუ გრამატიკული, თუ კორექტურული შეცდომები ბლომად მოიპოვებიან წიგნის ყოველ გვერდზე.

დოღმატიური მხარე.

კაენის მსხვერპლი ღმერთმა უფრო იმიტომ არ მიიღო, რომ მას (კაენს) არა ჰქონდა სარწმუნოება მომავალს და აღთქმულს მაცხოვარზედ. ყუბანეიშვილს კი სხვა მიზეზები დაუსახელებია და ეს უმთავრესი დაჰვიწყებია. მამა ყუბანეიშვილი სამართლიანად ამბობს (გვ. 97), რომ არის შვიდი საიდუმლო: **ნათლის-ღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, ქორწინება, მღვდლობა და ზეთის კურთხევა** და ამ შვიდ საიდუმლოს უსამართლოდ უმატებს (226 გვ.). კიდევ ორ საიდუმლოსაც: მე § 74-ის სათაური: **საიდუმლო ჯვრობა** და საიდუმლო ზიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე 83 გვერდზე ნათქვამია, რომ მარიამი მღვდელ-მთავარმა ტაძრის კარებზე «მიიღო ღვთის შთაგონებით» მაშინ, როდესაც მარიამის და სხვა ქალწულების ტაძარში მიღება მღვდელ-მთავრების პირდაპირი მოვალეობა იყო და ამისთვის სრულიად საჭირო არ იყო ღვთის შთაგონება. პირიქით ღვთის შთაგონება საჭირო იყო მაშინ, როდესაც მღვდელ-მთავარმა მარიამი შეიყვანა წმიდათა-წმიდათაში და ამაზედ კი არ არის მოხსენებული.

ამ საიდუმლოსთვის (ზიარება) იხმარება წმიდა ხორბლის ამოსული, ანუ ამოფუნებული პური (გვ. 227). ჩვენ გვგონია, რომ ეს კარგად და გასაგებად არ არის ნათქვამი.

ეჭამათ უცომო პურით (გვ. 43). პირველად გვესმის, რომ პური უცომო ყოფილიყოს. ალბად ავტორს თანახმად ისტორიისა ჰსურდა ეთქვა: ეჭამათ უხაშო პურით. (ხმიადებით).

მე § 78-ში ამბობთ: მოიტანეს სახვეველი ტილო, გარდამოხსნეს Იესოს გვამი ჯვარიდგან და დაასაფლავეს Იოსებ Არომათიელის ბაღში; დაადვეს ლოდი საფლავის კარებს და წავიდნენ. ეს არის რაღა? ვისთვის და სად იყო (ნიადაგზედ თუ კლდეში) დამზადებული ის საფლავი, რომელშიაც ჩასდვეს Ქრისტეს გვამი? ზეთი, მური და სხვ. არ წასცხეს გვამსა? რისთვის იყვნენ აქ გალილეველნი ქალნი და რად გაეშურნენ ქალაქისკენ, რატომ არ ამბობთ?

მე §79-ში ჯერ ლაპარაკობთ დედების საფლავზე მისვლას ❧ მერმე Ქრისტეს აღდგომაზე. Ასე რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია არა ქრისტეს აღდგომაზე, როგორც სახარებაშია (იხ. მათე 28 თ.), არამედ უფრო მცირე მნიშვნელოვან საგნებზე. Თუ არა გჯერათ ჩემი ნათქვამი, აბა ერთი კიდევ წაიკითხეთ ეს §-ი.

Პლანი თხზულებისა.

Წიგნში სულ 87 §-ია. Ამათგან ზოგი ამოღებულია Სოკოლოვის «нач. наст. въ прав. христ. вѣрѣ», ზოგი კი იმავე ავტორის «священ. ист. Ветх. и нов. зав.» და რადგან ეს ორივე თხზულებანი შედგენილი სულ სხვა და სხვა სისტემით და დანიშნულებით, ამიტომ ძუბანეიშვილის წიგნს სრულიად არა აქვს ერთი გაკვალული გზა. Ზოგიერთგან ჩვენი ავტორი ამბობს ბევრს, ზოგიერთგან ცოტას. Ზოგიერთგან წიგნში დაბეჭდილს §-ს არავითარი კავშირი არა აქვს შემდეგ დასაბეჭდავთან. რაც ცნობები Სოკოლოვს примѣчаніе-ბში აქვს მოყვანილი, იქ ჩვენი ავტორი ხშირად ტექსტში უთმობს ადგილს ამ გვარს ცნობებს. Ხშირად ლოცვები §§-ის ბოლოში კი არ არიან მოყვანილნი, არამედ შიგ მოთხრობაში. ერთის სიტყვით, არევ-დარევა მასალისა, ერთივე და იგივეს გამეორება (ზოგიერთგან), ბლომად ლაპარაკი იქ, სადაც საჭიროა კატეხიზმური პასუხი—ყველა ეს აშკარად ეტყობა ამ სახელმძღვანელოს.

Საზოგადოდ სახელმძღვანელოს მოპყრობიან უგულოდ. Გამოცემა არც შრიფტით და არც სისუფთავით არ შეშვენის ყრმათათვის შედგენილ სახელმძღვანელოს. Ფასიც ერთობ დიდია. Წიგნი ნამდვილად შეიცავს 168 გვერდს და დანიშნული კია (რასაკვირველია შეცდომით) 268 გვერდი: 112 გვ. გადასულან პირდაპირ 263 გვ. მრავალი შეცდომებისთვის ყური არ უგდიათ და სახელმძღვანელოსთვის ბოლოში არც კი ჩაურთავთ შეცდომების აღმნიშვნელი ტაბლიცა.

Ჩვენ სრულიად უადგილოდ მიგვაჩნია დაბალ მოსამზადებელ და სასოფლო—სამრევლო სკოლების» მოწაფეთათვის ამ ნაირი განმარტება მეშვიდე მცნებისა: «არა იმრუშო:» «ესე იგი კაცმან არ უნდა იცხოვროს სხვის ცოლთან, ან სხვა ქალთან იგრე, როგორც თავის ცოლთან. Ქალმან არ უნდა იცხოვროს სხვა ქალის ქმართან, ან სხვა კაცთან ისე, როგორც თავის ქმართან; ანუ კაცმან ქალთან ბოროტ საქმეს ერიდოს...» (გვ. 62).

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

«Დროების» მე 119 №-ში ჩვენ წავიკითხეთ ახირებული პასუხი მღვდლის ნიკოლოზ ხუციევისა იმ ჩვენი მცირე შენიშვნის გამო, რომელიც გამოვსთქვით «მწყემსის» მე 8 №-ში. ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რასაკვირველია, ჩვენი შენიშვნა შესახებ მღვ. ნიკოლოზ ხუციევის მოქმედებისა შეკრებილებაზე და მისი, ხუციევის, სუსტი გამჭრიახობის და წინ დაუხედაობისა...

Საზოგადოდ მიღებულია პასუხის დაბეჭდვა იმ გამოცემაში, რომელშიაც დაბეჭდილია პირველი საპასუხო შენიშვნა. ჩვენც გვეგონა, რომ მამა ნიკოლოზ ხუციევი თავის პასუხს «მწყემს»-ში დასაბეჭდათ გამოგზავნიდა. ჩვენი შენიშვნა და მისი პასუხი უფრო სამღვდელოებისათვის იყო საინტერესო. რომ ასე მოქცეულიყო მამა ხუციევი, მის პასუხს ჩემის მხრით პასუხი აღარ დასჭირდებოდა, რადგან ყველა წამკითხ-

ველი აშკარად დაინახავდა მის უსაფუძვლობას, მაგრამ რა გაეწყობა! მამა ხუციევმა იცოდა კარგად, თუ რა ფასი ექნებოდა და რა სიხარულით იქნებოდა მიღებული «დროების» რედაქციისაგან მისი პასუხი «მყემსის» და ჩვენს წინააღმდეგ და მართლაც არ მოტყუებულა იგი თავის მოსაზრებაში... ეს საბჭო საგანი საყურადღებოა და შეეხება ისეთ საგნებს, რომლებზედაც რამდენიმე სიტყვის გამოთქმა, მაინც და მაინც უადგილო და ნამეტნავად არ მიგვაჩნია.

არასოდეს არ დაგვიფარავს ჩვენ ჩვენი მკითხველებისათვის, რასაც «დროებაში» ჩვენზე სწერდენ და არც ამ შემთხვევაში დავერიდებით მამა ხუციევის «ზრდილობიანი» პასუხის გადმობეჭდვას, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი დაწერილის შეტყობინება კი არა სურთ სხვებს, ალბათ მისთვის, რომ სუსტად ბრძანდებიან სიმართლეზე...

თუმცა მამა ხუციევის პასუხი ჩვენი მცირე შენიშვნის გამო არის დაწერილი ძლიერ სასირცხო კილოთი და ნამეტანი შეუფერებელი სიტყვებით გვამკობს იგი, მაგრამ ჩვენ არასოდეს ჩვენზე ნათქვამს და დანაწერს არავის დაუფარავთ; მის პასუხს ნაწილ-ნაწილა მოვიყვანთ აქ და პასუხს უგებთ.

მამა ნიკოლოზ ხუციევი სწერს:

«მ. ღამბაშიძე ამბობს თავის შენიშვნაში: «ამ ცოტა ხანში ჩვენ მივიღეთ იმერეთის ეპარქიის ზოგიერთ დეპუტატთაგან თითქმის ყვედრებით სავსე წერილები იმის თაობაზე, რომ სამღვდელოების ამ უკანასკნელს შეკრებილებაზედ არ დავესწარი და არ მივიღე მონაწილეობა შეკრებილების გარდასაწყვეტ საქმეებში.»

მამა ხუციევს დაუტოვებია ჩემი შენიშვნის ისეთი სიტყვები, რომლებიც თითქმის თავი მიზეზები იყვნენ ჩემგან შენიშვნის დაწერისა. აი საქმე რაში გახლდათ. უკანასკნელი სიტყვა უნდა წარმოთქმულიყო სემინარიის დაარსების საქმეზე ქუთაისში და დიდი გამჭრიახობა იყო საჭირო ერთ საქმეზე, რომლის გამოთქმა საძნელოა ყველასთვის. ამისთანა საჭირო დროს ჩემი მიუსვლელობა ზოგიერთმა პირებმა სულ სხვა ნაირად ჩამომართვეს და მიტომაც ვსწერდი შენიშვნაში: «ამისთანა ზოგიერთ დეპუტატებს ჩემი ამ კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზად გამოჰყავსთ არა ის საპატიო მიზეზი, რომლის გამო მე ვერ დავესწარი შეკრებილებაზე, არამედ სულ სხვა, რომელიც მე სრულებით სახეში არ მქონებია არასოდეს.» მაგრამ ეს თავი მიზეზი მამა ხუციევს განგებ აქვს დაფარული «დროების» მკითხველების წინაშე, რომ თვის ნაწერს რამე მნიშვნელობა მისცეს. ამისთანა საქციელი სირცხვილია მღვდლისათვის კი არა, უკანასკნელი ერის-კაცისთვისაც.

ვსთხოვთ ხუციევს, ჰკითხოს მთავარ-დიაკონს ი. ნადირაძეს და ბლაღოჩინს მამა ე. მაჭარაძეს, თუ ჩემს ყრილობაზე მიუსვლელობის მიზეზად რა გამოჰყავდათ ერთ შეკრებილებაზე ხონში, სადაც მრავალნი პირნი ბრძანდებოდნენ.

მერმე განაგრძობს მამა ხუციევი:

«ძალიან სასიამოვნოდ დამირჩებოდა, რომ მამა ღამბაშიძეს ერთი მაინც ამისთანა საყვედურით სავსე წერილის ავტორი დაესახელებინა თვის «მწყემსში.» მე დარწმუნებული ვარ, რომ მ. ღამბაშიძეს არავითარი წერილი არ მიუღია არც ერთი მღვდლისაგან და, თუ მიიღო ერთი ან ორი წერილი, ან სიტყვიერად გარდასცეს ამგვნმავე, ისინი იქნებოდენ იმ მღვდლებთაგანნი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ვითომც ღამბაშიძის მეტს იმერეთის სამღვდელოებაში არავის პროტოკოლის შედგენა კი არა, სიტყვის თქმაც არ შეუძლიან. ერთი სიტყვით ეს მღვდლები, უკეთუ ღამბაშიძის სიტყვები არიან მართალნი, იქნებოდნენ მისი საბლაღოჩინოის მღვდლები, რომელთაც გაზეთი იშვიათად წაუკითხნიათ გარდა ღამბაშიძის «მწყემსისა» რომელთ იგიც ძალ-დატანებით აქვსთ გამოწერილი და, შემხედვარეთ ამ გაზეთის სტრიქონებისა, ჰგონიათ, ვითომც მამა ღამბაშიძე გენიოსი იყოს.

მრავალი რამ გირჩებათ თქვენ, მამაო ნიკოლოზ, სასიხარულოდ და სასიქადულოდ, მაგრამ თქვენთვის სასიხარულო თქვენი მოძმეთათვის სამწუხაროა... არ გესმისთ თქვენ, რასაკვირველია, კერძო მონაწერი წერილების გამოცხადების სიძნელე და შეუძლებლობაც გაზეთებში, თორემ ამისთანა სიტყვებს არ იტყოდით. ამისთანა კერძო წერილების დაბეჭდვა არ შეიძლება ავტორების უთანხმოდ, თორემ ჩვენც კი გვსურდა მათი გამოცხადება. სხვა თქვენი სიტყვების აზრი ერთობ არეულ-დარეულია. ამ სიტყვების წერის დროს თქვენ ვგონებ იმისთანა მდგომარეობაში ჰყოფილხართ, რომელსაც რუსები უწოდებენ «не трезвое». ხან არა ხართ დარწმუნებული წერილის მიღებაზე, ხან გჯერათ, მაგრამ ვითომც ამას მომწერდა იმისთანა მღვდლები, რომელთაც «მწყემსის» მეტი სხვა გაზეთი არ წაუკითხავსთ. ერთი სიტყვით, თუ იქნებოდა ვინმე უთუოდ ჩემი საბლაღოჩინო მღვდლები იქნებოდა, რომელთაც ძალდატანებით აქვსთ გამოწერილი, «მწყემსი» და ამისთვის ჰგონიათ, თქვენის აზრით, მათ რომ მე გენიოსი ვიყო». მარკვევით გეთქვათ, ის არ ჯობდა! თქვენ ყველა ამას ლაპარაკობთ იმიტომ, რომ გამოთქვათ, ვითომც მე ძალდატანებით ვაწერინებდე ჩემს საბლაღოჩინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლებს «მწყემსს». დაგვისახელეთ მამაო ერთი მღვდელი მაინც, რომ ძალით გამოგვეწერინებინოს «მწყემსი».

რუსეთის ეპარქიებში თითქმის ყველგან გამოდის ეგრეთ წოდებული «ეპარქიალური უწყებაები», რომელშიაც იბეჭდებიან სასულიერო მთავრობის განკარგულებანი. ჩვენში როგორც ყველამ იცის, არც ერთი ამისთანა გამოცემა არ არსებობს. სასულიერო მართებლობამ ვალდებულად გამხადა მე, რომ ვბეჭდო რუსულად ყველა განკარგულებანი სინოდის და ადგილობით სასულიერო მთავრობათა და დაწესებულებათა, რომლის ასრულებაც დიდ ხარჯს ითხოვს. როგორც რუსეთში ისე აქაც სასულიერო მთავრობამ მოითხოვა, რომ ყველა ეკლესიაზე გამოიწერონ ეკლესიის ხარჯით «მწყემსი». რასაჭიროა ამ შემთხვევაში ძალდატანება და ვის რისთვის დაატანდნენ ძალას «მწყემსის» გამოწერაზე. სადაც ეკლესიას შეძლება აქვს იქ იწერენ. შური თუ გაწუხებს, მამაო ნიკოლოზ, დამშვიდდით, შეძლებულნი ნახევრობითაც არ გამოდიან ეკლესიები... სადაც საშუალება არ არის, იქ არავის ძალას არ ატანენ. მაგრამ თავის სურვილით მაინც იწერენ.

ყორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში, სადაც მე ბლაღოჩინათ ვარ, თითქმის ათი კრებული იწერდა ხოლმე «დროებას», «შრომას» და «ივერიას» და დღესაც იწერს ზოგიერთი. ამ გაზეთების გამოწერაზედაც ძალას ვატანდი?... არა, მამაო ნიკოლოზ! თქვენ რომ ყველაფრისათვის თავი დაგინებებიათ, როგორც ერთ «უბრალო» ქალაქის მღვდელს, ისე ჰგონიათ, რომ ვითომც ყველა თქვენსავებრ იქცეოდეს. ძლიერ მოტყუებული ხართ. ჩემს საბლოღოჩინოში ბევრი მისთანა მღვდლებია, რომელთაც თქვენზედ ბევრი უკითხავსთ და კიდეც ჰკითხულობენ.

იქნება მამა ხუციევს უკვირს, რომ რწმუნებულ ჩემს საბლაღოჩინოში იწერენ «მწყემსს» თუთხმეტიოდე მღვდელი. ერთის მხრით ეს გასაკვირველიც არის მართლა. სხვა საბლაღოჩინოებში როგორც მაგალითად: ქიკაჩეიშვილის, ჩხენკელის, ქუბანეიშვილის, ქუთათელაძის, ჯულელის, სისორდიას და სხვათა მრავალთა საბლაღოჩინოებში ერთ მღვდელს არა აქვს გამოწერილი «მწყემსი». მაგრამ ზოგიერთ საბლაღოჩინოებში, როგორც მაგალითად ბლაღოჩინის მამა იოსებ ჭეიშვილის, ანჯაფარიძის, ჭიპაშვილის, მეუნარგიის, ელიავას, წერეთლის, მჭედლიძის, გერსამიას, გაბადაძის და ვეფხვაძის საბლაღოჩინოებში კი იწერენ სამღვდელოები.

ყოველ შემთხვევაში მე მივაქცევ რწმუნებული ჩემდამო საბლაღოჩინოის მღვდლების ყურადღებას მღვ. ნ. ხუციშვილის სასირცხო ცილის წამებაზე შესახებ იმისა, რომ ვითომც მათ ძალით ვაწერინებდე «მწყემსს» და მივანდობ მათ განსჯას.

წაიკითხოთ ქვევით ხუციევის მშვენიერი აზროვნობის და მსჯელობის მინუში:

«ყოველ კაცსა თუ სულ გაფუჭებული არ არის ზნეობით. აქვს თავმოყვარეობა; მაგრამ ამ გვარი თავმოყვარეობა მამა ღამბაშიძეს სრულებით არ უხდება. მე ახლაც დარწმუნებული არა ვარ, თუ მ. ღამბაშიძე ამ შენიშვნას ხუმრობით არა სწერს და უკეთუ იგი გულწრფელად ამბობს ყველაფერს, იმ შემთხვევაში მეც გულწრფელად ვიტყვი, რომ მას ნამდვილ ჰქონია ისეთი თავმოყვარეობა.

ვერ გაგვიგია, რა უნდა სთქვას ამ სიტყვებით მამა ხუციევმა. ყოველ კაცს, თუ ზნეობა გაფუჭებული არა აქვსო, უნდა ჰქონდეს თავმოყვარეობაო. მე არ უნდა მქონდეს ეს თავმოყვარეობა და, თუ მართალს ვამბობ, მაშინ კი მქონია. ღმერთმა ეს სახალხო სკოლის პატარა მოსწავლესაც ნუ ათქმევინოს. აფსუს სამასწავლებლო სემინარიის სწავლა და ატესტატო!..

«ყოველ ამ გვარ კაცს ჰგონია, ვითომც მისი ბადალი კაცი არ მოიძებნებოდეს. თუმცა კარაბადინები, ლოცვან-კალენდრები და წმიდა სამთლის განსყიდვაზედ წიგნაკები ბევრი დაბეჭდა და იგინიც ძალით გამოაწერინა ეკლესიებსა, მაგრამ ამით იგი გენიოსობას ვერ დაიმსახურებს.»

ვფიქრობ, მაგრამ ვერ გაგვიგია, თუ რამ აიძულა მამა ხუციევი ამისთანა აშკარა სიცრუის თქმა და ცილის წამების გამოგონება. ენით ბევრის თქმა შეუძლია კაცს, მაგრამ თუ ეს თქმულება უსაფუძვლო და უაზროა, მაშინ ამისთანა თქმულებას უწოდებენ ჩერჩეტობას. მართლაც ასე ჩერჩეტობს მამა ხუციევი, როდესაც ამბობს, რომ მე კარაბადინები, ლოცვან-კალენდრები ძალითი გამომეწერინებიოს ეკლესიებისათვის. აბა დაგვისახელე ერთი ეკლესია, მამაო ხუციევო, რომელშიც ლოცვან-კალენდრები და კარაბადინები იყოს გამოწერილი? რამდენიც უნდა ეძიოთ, ამისთანა ეკლესიას ვერ ნახავთ თქვენ. ეკლესიებზე არის დარიგებული მართლა სანთლის ვაჭრობის წარმოების საქმის შესახებ შედგენილი ჩემგან ერთი ბროშიურა, ღირებული ორ შაურად. მაგრამ შემოსავალი ამ წიგნაკებიდამ გარდა ქაღალდის და სტამბის ბეჭდვის ხარჯისა დანიშნულია იმერეთის ეპარქიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო წოდების საწყალ-მქრივთა და ობლებისათვის სამზრუნველოს სასარგებლოდ. ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არის დავეხმაროთ ხალხს და ჩვენ მოძმეს, რითაც შეგვიძლია და ამ ჩემ მოვალეობას ვასრულებ მე შეძლებისა და გვარად. სად იხედება აქ გენიოსად წოდების სურვილი? მაგრამ ასე არ გახლავს, მამაო ნიკოლოზ. თქვენ თუმცა მიგიღიათ სწავლა სამასწავლებლო სემინარიაში, მაგრამ იმდენი სწავლა ვერ გამოგიტანიათ იქიდამ, რომ ან დასწეროთ რამე, ან ორიოდე სიტყვა წარმოსთქვათ ეკკლესიაში, მხოლოდ შურს შეუპყრიხართ და ეს შური გალაპარაკებსთ ასე უთავბოლოდ და უსაფუძვლოდ.

(დასასრული შემდეგ №-ში).

# კათოლიკოზი ანტონი II.

(გაგრძელება).

სინოდის ობერ-პროკურორმა გოლიცინმა 2 ნოემბერს, 1809 წელს მოსწერა გენ. ტორმასოვს, რომ მ. ი. უ. ჰსურს, რომ მისი მეუფება კათოლიკოზი ანტონ მოვიდეს რუსეთში საქართველოს საეკკლესიო საქმეების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, ზოგიერთი ცვლილების მოსახდენად, ზოგიერთი კითხვების განსამარტებლად, რომელთ მიწერ-მოწერით აღსრულება ძნელია და მოუხერხებელი.

მაგრამ ეტყობა, რომ ამ გვარი გაწვევის მიზეზები კათოლიკოზს ანტონს უცვნია საბუთად მისი რუსეთში გადასახლებისა და იქ სამუდამოდ დატოვებისა. ამიტომ იმას ავად-მყოფობისა გამო უარი განუცხადებია რუსეთში წასვლაზე და ტორმასოვისთვის მოუხსენებია, რომ იგი თვის მაგიერ საეკკლესიო საქმეებზე მოსალაპარაკებლად რუსეთში გზავნის თვისგან სანდო პირებსა: მიტროპოლიტს ვარლაამს, წევრს უწ. სინოდისას და საქართველოში პირველს არქიმანდრიტს დოსითეოზს, რომელთათვისაც მიცემული მაქვს დარიგებანი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, (იხ. Ак. ტ. IV გვ. 144).

12 თებ., 1810 წ. № 20 ტორმასოვი აუწყებს ობერ-პროკურორს თ. გოლიცინს, რომ ანტონი ავად-მყოფობისა გამო უარ-ჰყოფს რუსეთში მოსვლას და თავის მაგიერ ჰსურს გამოგზავნოს ვარლაამი და დოსითეოზი. გამოვგზავნოთ, თუ არაო?

ამის თაობაზე პასუხად თ. გოლიცინისაგან ტორმასოვს მოუვიდა მოწერილობა (25 თებ., 1810 . № 161), რომლთაც აუწყებდა, რომ ვარლაამს და დოსითეოზს ნუ გამოგზავნით. მ. ი. უ. ჰსურს, რომ მოვიდეს თვით ანტონი მაშინ, როდესაც იგი უკეთ შეიქნებაო. (გვ. 148, ტ. IV).

საქართველოს უმაღლესი მმართველობის პროკურორი პლახოტინი გენ. ტორმასოვს 23 ივლისიდამ, 1810 წ. სწერს, რომ ანტონ კათოლიკოსმა სრულიად განაბნია საეკკლესიო მამულნიო: ზოგი მამულები გარეშე პირებს დაურიგა, ზოგი კი დააგირავაო, თუმცა ამის უფლება მას არც მეფობის დროს ჰქონიაო; ყველა ამ გვარად დაგირავებულ-დარიგებული მამულები ღირან 1,000,000 მ. და ამას გარდა 80,000 მ. ვალი თვისის ნათესავის ესტატე ციციანოვისა თავის თავზე გადიღოვო, იმ იმედით, რომ, როდესაც რუსეთში წავა იგი, მაშინ ხელმწიფეს სთხოვს იგი ამ ვალის გადახდას ხაზინიდამაო და, თუ ამ ვალს არ გარდიხდის ხელმწიფე, მაშინ მას იმედი აქვს, ისევ კათოლიკოსად დააბრუნებენ საქართველოშიო. (იხ. Акт. ტ. IV, გვ. 152). შემდეგ მოჰყავს სია იმ მამულთა, რომელნიც დაუგირავებია და დაურიგებია კათოლიკოზ'სა.

29 ივლისს, 1810 წ. ტორმასოვი სწერს პროკურორს თ. გოლიცინს, რომ კათოლიკოსმა ბოლოს გადასწყვიტა აღსრულება ნებისა მ. ი. უმაღლესობისა და მოდის რუსეთისკენაო და მე საგზაოდ დაუნიშნე 5,000 მ. და გთხოვთ უქვეშევრდომილესად მოახსენოთ მ. ი. უ.

ბრძანება გენ. ტორმასოვისა გენ.—მ. ახვერდოვისადმი 20 აგვისტოს, 1810 წ. № 167 (Акт. ტ. IV გვ. 155).

თქვენგან მოცემული ცნობების გარდა მე კიდევ ორი ცნობა მომივიდა, რომ ქარაფშუტა მეფის ძეს ლეონს *) ჰსურს ოსების შემწეობით გაიტაცოს რუსეთში მიმავალი კათოლიკოსი და ამიტომ მიი-

---

*) ლევანი იყო ძე მეფის ძის იულონისა. იგი ჯერ 15 წლის ყმა იყო, რომ მიემართა კავკასიონის მთებისკენ და ჯავის ხეობის (დიდი ლიახვის) ოსების დახმარებით დაუწყო მტრობა ახალს მართებლობასა და სცდილობდა, რომ მთიელთ შემწეობით და თვისის ბიძის ალექსანდრის დახმარებით განედევნა რუსები და ტახტზე ისევ ბაგრატიონთ გვარი აღეყვანა. რუსის მთავრობამ ვერავითარი ხვეწნით და მუქარით ვერ დაიმორჩილა იგი და სიკვდილამდის (1811 წ.) მათ დაუძინებელ მტრად დაშთა.

ლეთ ყოველ გვარი ზომანი, რომ გააქარწყლოთ ლევანის ამ გვარი განზრახულება. ჯერ-ჯერობით კათოლიკოზს ნუ გამოისტუმრებთ.

ახვერდოვი რაპორტით (27 აგვ. 1810 წ.) ატყობინებს ტორმასოვს, რომ დღეს ანტონიმ შეიპყრო ბერი სერაპიონი და შებორკა. მას ამტყუნებს მთავრობისადმი თვის დაბეზღებას და ამბობს, რომ იმ დრომდის რუსეთში არ გავემგზავრები, სანამ არ გავიგებ: ვინ დამაბეზღაო.

16 ენკენ., 1810 წ. ანტონი სწერს გენ. ტორმასოვს, რომ აქაური პროკურორი მექადის, ცუდ საქმეს მიშვრება და მაბეზღებსო. ამაზედ მე უნდა მოგახსენოთ, რომ 1,400 წელიწადზე მეტიაო, რაც საქართველოში არსებობს კათოლიკოსობაო და ყველა კათოლიკოზს აქამდი ჰქონია უფლება, რომ თავის გლეხთათვის ებოძებინათ სოფელნი, მამულნი და სიგელებსაც მეფენი უმტკიცებდნენო და სხვ.

ა. გოლიცინი გენ. ტორმასოვს 28 ენკენ., 1810 წ. № 778 სწერს, რომ აქნამდის უწ. სინოდს ცნობა არა აქვს საქართველოს ეკკლესიის საქმეებზე, მის ქონებაზე და ამიტომ მიტროპოლიტის ვარლაამის დახმარებით წარმოადგინეთ ცნობანი: რა წესზე და ნიადაგზედ დავაყენოთ მანდაური ეკკლესია, რომ იგი პირ და პირ ექვემდებარებოდეს უწ. სინოდს და ამასთანავე გვიჩვენეთ ის პირნი, რომელთაც შეიძლებოდეს მიენდოს სასულიერო მმართველობა.

რაპორტი ახვერდოვისა გენ. ტორმასოვისადმი 9 ნოემბ., 1810 წ. № 4.167. ტფილისიდგან ს. პეტერბურღისკენ ანტონი გამოემგზავრა 3 ამ თვეს და მცხეთაში დარჩა დღევანდელ დღემდე. დღეს კი გზას გაუდგა. მის მეუფების გასაცილებლად კომამდის დავნიშნე ყაზახის პოლკის ოფიცრები და 16 ყაზახი, იქიდამ ვლადიკავკაზამდის გააცილებენ ხევში და თაგაურში მყოფნი როტანი.

ამასობაში მთავარ-ეპისკოპოსმა ვარლაამმა შეადგინა თვისი აზრი (პროექტი) საქართველოს სამწყსოს გამგეობაზე და მაშინდელმა მთავარ-მმართველმა ტორმასოვმა იგი უქვეშევრდომილესად წარადგინა ხელმწიფისადმი. ეს პროექტი სულ მთლად მიღებულ იქმნა (იხ. Акт. ტ. IV გვ. 169) და თანახმად მისის პროექტის უწ. სინოდმა დაადგინა და ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა შემდეგი:

ა) 13 ეპარქიის მაგიერ დაწესდეს ორი ეპარქია: 1 წოდებით მცხეთისა და ქართლისა, მეორე ალავერდისა და კახეთისა. 9 საარხიმანდრიტოსაგან შესდგეს მხოლოდ ხუთი.

ბ) უფროსად საქართველოს სამწყსოისა იყოს მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტი, რომელიც უნდა იყოს წევრად უწმიდესის სინოდისა და საქართველოს ექსარხოსად.

გ) დაწესდეს დიკასტერი, იმავე უფლებებით, როგორც რუსეთში; იგი ექვემდებარებოდეს სამწყსოს გამგებელსა. დიკასტერის წევრებად დანიშნულ იქმნენ ნიჭიერნი პირნი სამწყსოს გამგებელის ამორჩევისა მებრ. ქალაქებში რიცხვისა მებრ ეკკლესიათა დაწესდეს სამაზრო სამსჯავრო, რომელიც უნდა აწარმოვონ დეკანოზთა და მღვდელთა და აგრეთვე დაინიშნონ ბლაღოჩინნი.

დ) მღვდელთა და სასულიერო პირთა სასწავლებლად გაიხსნას გიმნაზიის მაგიერ სასულიერო სემინარია. სამაზრო სასწავლებელნი კი გაიხსნან მოხერხებულ ადგილებში საჭიროებისა მებრ მაშინ, როდესაც სასულიერო სემინარიაში აღიზრდებიან მასწავლებელნი.

ე) შესანახავად დიკასტერიისა, არქიელთა, არხიმანდრიტთა, სემინარიისა და სხ. და სხ. მოხმარდეს ფული საეკკლესიო მამულთა და გლეხთა შემოსავლისაგან...

თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს პირველ მიტროპოლიტსა სინოდთან, ამაზედ და სხვა კითხვების შესახებ ცალკე მოწერილობა იქმნება (იხ Акт. IV. გვ. 169).

ტფილისის მიტროპოლიტის არსენის საჩივრებსაც ბოლო მოელო. უწ. სინოდის გარდაწყვეტილებისა მებრ არსენის დაენიშნა პენსია და გარდაყვანილ იქმნა იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოში. ამ ნაირი განკარგულება არსენიმ არ მიიღო და აქაურს მთავრობას არ დაემორჩილა და უდაბნოში არ წავიდა. მთავრობას ეუბნებოდა: ამ ნაირს განკარგულებას სინოდი არ მოახდენდა, თქვენ თვითონ შეგითხზავთო. მრავალი მიწერ-მოწერა ასტყდა ამის შესახებ უმაღლეს მთავრობასთან. ბოლოს აქაური საერო მთავრობა ითხოვდა, რომ არსენი გადაეყვანათ ერთ რუსეთის მონასტერში, სადაც იმას შეეძლო შეენანია თვისი შეცოდებანი. ბოლოს რომ ვერა გზით არსენი ვერ შედრკეს და მან სიონის სობორო არ ჩააბარა მთავრობასა, თ. გოლიცინმა მიტროპოლიტს არსენის მოსწერა (ოკტ. 1813 წ. ტ. V გვ. 404): წამოდით რუსეთს-პეტერბურღს და

თქვენი საქმეების გამო თავი იმართლეთო. საგზაო ფულიც მოგეცემათო.

ვინ იცის, წავიდოდა რუსეთში არსენი თუ არა, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა. იგი აღესრულა 30 ნოემბერს, 1813 წ. და პატივით დასაფლავებულ იქმნა სიონის სობოროში (ტ. V, გვ. 405).

მეორე წელიწადს, ესე იგი 1814 წ. 17 ოკტომბერს უწ. სინოდმა თანახმად უმართებულესის სენატისა გარდასწყვეტა: 1) საქართველოში (ქართლ-კახეთში) და იმერეთში იყოს ერთი ექსარხოსი სინოდისა და ეწოდოს მას საქართველო-იმერეთისა. 2) თბილისში დაარსდეს საქართველო-იმერეთის უწ. და უმართებულესი სინოდის კანტორა, რომელიც პირ-და-პირ დამოკიდებულებაში უნდა იყოს სინოდთან, ისრე, როგორათაც კანტორა მოსკოვისა. მაგიერ თბილისის დიკასტერისა, რომელიც კანტორის დაარსებიდამ უქმდება, ამ ნაირივე გაიხსნას ქუთაისში— იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეკკლესიათათვის; 3) თავ-მჯდომარედ კანტორისა უნდა იყოს საქართველოს და იმერეთის ექსარხოსი, წევრებად: არხიეპისკოპოსი თელავისა და საქართველო-კავკასიისა; 2 არხიმანდრიტი და ორი დეკანოზი; 4) კანტორას ჰყვანდეს პროკურორი მეხუთე კლასისა, მცოდნე რუსულისა და ქართულის ენათა. შემდეგ 23 მუხლში ჩამოთვლილია დაწვრილებით მოვალეობა კანტორისა, მისი წევრებისა, ექსარხოსისა და სხვ. მეშვიდე მუხლში კი ნათქვამია: საქართველოში დაწესდეს სამი ეპარქია: ქართლისა, ოსეთისა და სიღნაღისა (Акт. ტ. V, გვ. 407—410). ეს დადგენილება სინოდისა უმაღლესად მ. ი. უ. უქაზით 30 აგვისტოს 1814 წ. დამტკიცებულ იქმნა და 1815 წ., მაისს სინოდის კანტორა უკვე გახსნილ იქმნა (იხ. რაპორტი სინოდის კანტორის პროკურორისა ნად. სოვ. ჩილაევისა, გენ. რტიშჩევისადმი 8 მაისს 1815 წ. № 33).

ყველა ეს ასრე მოჰხდა. დიკასტერის გახსნა ქუთაისში კი დაბრკოლდა იმ უკმაყოფილებისა გამო, რომელიც გამოუცხადეს მთავრობას დადიანმა და გურიელმა. ამის გამო სასულიერო საქმეების გამგეობა იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში დაშთა ისევ ძველს წეს-წყობილებაზე (იხ. მოხსენება გენ. რტიშჩევისა თ. გოლიცინისადმი 30 აპრ. 1816 წ. № 62 ტ. V, გვ. 433-436). მხოლოდ [illegible]იქაურს სასულიერო გამგეობას მოეთხოვა ცნობანი: საეკკლესიო მამულებზე, ქონებაზე და სამწყსოზე.

საფიქრებელია, რომ დიკასტერის დაუარსებლობა ქუთაისში გამოიწვია, სხვათა შორის, იმ გარემოებამაც, რომ 1815 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელსაც თვისი სამფლობელო წაერთო ტორმასოვის დროსვე, (იხ. Акт. ტ. V, შესავალი) აღესრულა *) და ამის გამო მთავრობას ჰსურდა ამ ქვეყანაშიაც შემოეღო თვისი წეს-წყობილებანი.

მოსე ჯანაშვილი.

# მატიანე

## საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

როგორც შევიტყეთ, საქართველოს საექსარხოსოში ხუთი ეპარქიის დაწესების საქმე დამტკიცებულა. გურიის ეპარქია მიწერილია სამეგრელოს ეპარქიაზე, რომელიც ცალკე ეპარქიად რჩება და ეპისკოპოსის კათედრა ახალ-სენაკში იქნება. აფხაზეთის ეპარქიაც ცალკე რჩება, რომელზედაც იქნება მიწერილი ბათუმის მხარეები. ვლადიკავკაზის სავიკარიოც ცალკე ეპარქიათ რჩება.

* * *

რაჭის ერთ საბლაღოჩინოში, როგორც გვატყობინებენ, ეკკლესიებიდამ ბლაღოჩინის ჯამაგირად ხუთ-ხუთ მანეთს კრებავენო. თუ ეს ამბავი მართალია, ძლიერ საინტერესო არის შევიტყოთ, თუ რით დაიმსახურა ამ ბლაღოჩინმა ყველა ბლაღოჩინებზე ამისთანა უპირატესობა. რუსეთის ეპარქიებში კარგი ხანია, რაც ასე კრებენ ბლაღოჩინებისათვის ჯამაგირებს, მაგრამ აქ დღემდე ეს არ ყოფილა.

---

*) მეფე სოლომონი აღესრულა ტრაპიზონში 7 თებერვალს (როტიეს თქმით კი 19 თებერ.), 1815 წ. იგი იყო 42 წ., დასაფლავებულ იქმნა ტრაპიზონშივე ბერძენთა ეკკლესიის ეზოში. მის საფლავზე აღევს ქვა, შემდეგის წარწერით:

«განმექარცვა მე პირველ-ქმნილი სიკეთე და შვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კმდეულ საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობასა. ფებერვლის ზ. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე» 1815).

# მოკლე სიტყვა,

## თქმული იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისაგან 17 მაისს, 1885 წ. ქ. სობოროში.

კეთილშობილნო და პატივცემულნო თავადნო და აზნაურნო!

ვგონებ აწინდელი თქვენი შეკრებილება მომეტებულად უნდა იყოს სასიამოვნო და სასიხარულო თქვენთვის, ვიდრეღა უწინდელი. ორი კვირა არ გასულა ჯერეთ, რაც თქვენ, ერთად მთელი რუსეთის იმპერიის თავადთა და აზნაურთა, გადიხადეთ ასი წლის დღეობა დიდი რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორის სიგელის გამოცხადებიდგან, რომლითაც ბრძენმა ხელმწიფამ განათვისა კეთილშობილთ წოდება სხვათა წოდებათაგან, მისცა მას დიდი პატივი, სამართალნი და წესნი. ხსენებული დღე მთელი რუსეთის კეთილშობილი წოდებისათვის ას წილ უდიდესად სასიამოვნოა შენთვის იმ მანიფესტითა, რომლითაც აწინდელმა ჩვენმა დიდმა ხელმწიფე იმპერატორმა განამტკიცა ზემოხსენებული სიგელი დიდის ეკატირინასი, მადლობა გამოუცხადა მთელ კეთილშობილ წოდებას, მათი შესანიშნავი სამსახურისთვის დიდი და მაღალი ქება მიაწერა მას, უწოდა მას დედა-ბოძად მისის ტახტისა და გამოსთქვა იმედი, რომ იგინი ყოველთვის დაიცავენ მათსა პატივსა. მთელი რუსეთის კეთილშობილობა აღტაცებაში მოვიდა ამისთანა მოწყალების და ქების გამგონე ხელმწიფე-იმპერატორის მხრიდგან, უეჭველია, რომ მთელი საქართველოს თავად აზნაურობამ აღტაცებით მიიღო ესრეთი სიტყვა ხელმწიფის.

მართლა, კეთილშობილნო წოდებავ! დიდი პატივი დიდს მოვალეობას დასდებს კაცზედ. თქვენ ხართ მოწინავე წოდება, საქმითაც და მოღვაწეობითაც მოწინავე უნდა იყოთ; რაც ქვეყნის კეთილ-დღეობას შეეწევა, იმ საქმეში თქვენ უნდა იყვნეთ მოწინავე მოქმედნი. ახლა ერთი დიდი ზრუნვა და საქმე წინ გვიძევს, როგორც მთელი რუსეთის იმპერიაში, აგრეთვე აქ. ეს არის ქრისტიანული, ეკკლესიური მიმართულება სწავლისა, დაცემული ზნეთბის აღდგენა. ყოველ სოფლებში უმაღლესი მთავრობის სურვილთა და უწმიდესის სინოდის კურთხევითა უნდა გაიხსნან საეკკლესიო სკოლები. ამ საქმეში თქვენ ვითარცა მოწინავე წოდებამ უნდა მიიღოთ მონაწილეობა, შეეწეოდეთ ამ საქმეს, ვითარცა კეთილსა და ქვეყნის სასარგებლოსა, და მით გაამართლოთ დიდი მნიშვნელობა თქვენის წოდებისა, და ის განსხვავებული პატივი და მოწყალება, რომელთაც აღგამაღლა ხელმწიფე იმპერატორმა. ამინ.

---

# რით სცხოვრებს კაცი.

მოთხრობა გრაფი ლ. ტოლსტოისა (რუსულიდგან).

(გაგრძელება).

## IV თავი.

ჩაჩერდა მატრონა და ფიქრობს უცხო კაცზე.

— ეს თუ კარგი კაცი იყოს, რათ არის ტიტველი, უკანასკნელი პერანგიც არ აცვია, თუმც ეს კეთილი საქმისთვის იყოს მოსული, იმასაც იტყოდა, საიდგან მოიყვანა ამისთანა ფრანტი.

— ჰო, მე შენ გეუბნები, რომ მივდივარ სამლოცველოსთან, ზის ეს გახდილი კაცი და მთლათ გაუყინავს.

ზაფხული ხომ არ არის, რომ ტიტველი ხარ მეთქი! ღვთის ნება იყო, რომ მე მასთან მივედი, თორემ მთლათ დაილუპებოდა. როგორ უნდა მოვიქცე! ცოტა რამე საქმე ხდება ქვეყანაზე! მოვკიდე ხელი, ჩავაცვი ტანს და წამოვიყვანე შინ. დაიმშვიდე შენ გული, ცოდვაა, მატრონა ჩვენც მოვკვდებით.

უნდოდა მატრონას კიდევ კარგათ შეეკურთხებია სიმონისთვის, მაგრამ გადახედა უცხო მგზავრს და ჩაჩუმდა. ზის მგზავრი და არ ინძრევა. ხელები მუხლებზედ დაუწყვია, თავი ჩაუღუნავს, თვალებს ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით არ ახელს, ზის და ქუშმაშობს, თითქო რაღაც აწუხებსო. გაჩუმდა მატრონა. სიმონი კი ამბობს:

— მატრონა, შენში ღმერთი არ არის?!

გაიგონა ეს სიტყვა მატრონამ, კიდევ შეხედა მგზავრს და უცებ დაუმშვიდდა გული. წავიდა კარებისაკენ, მივიდა ფეჩის კუთხეში და მოიტანა ვახშამი. დადვა ფინჯალი სტოლზედ, ჩამოასხა კვასი (მჟავე სასმელია) და ამოიღო უკანასკნელი პურის ყუაც, მოართვა კოვზი და დანაც.

— მიირთვით, ეუბნება.

მოიახლოვა სიმონმა უცხო მგზავრი.

— მიირთვით, ეუბნება სიმონა.

დასჭრა სიმონმა პური, დაანამცეცა და დაიწყო ვახშმობა. მატრონა დაჯდა სტოლის კუთხეში, დაეყდნო ნიდაყვზე და უცქერის მგზავრს. შეეცოდა მატრონას მგზავრი და პატივის ცემით დაუწყო ცქერა. გამხიარულდა მგზავრი. მოწყენილი აღარ არის, აიხედა მაღლა, შეხედა მატრონას და გაიღიმა. ივახშმეს; მიალაგა დედა-კაცმა და დაუწყო კითხვა მგზავრს:

— შენ საიდგან ხარ?

— მე აქაური არა ვარ.

— მაშ როგორ მოვხდი აქეთ?

— არ შემიძლია გითხრა.

— ვინ გაგცარცვა?

— ღმერთმა დამსაჯა!

— ასე ტიტველი იყავი?

— ასე ტიტველი ვეგდე, ვიყინვებოდი, მნახა სიმონამ, შევეცოდე, გაიძრო ერთი ტანსაცმელი, თვითონ—მე ჩამაცვა და მიბრძანა აქ წამოსვლა. აქ შენ მაჭამე, მასვი და შემიცოდე, დაგიხსნისთ თქვენც უფალი.

ადგა მატრონა, მოვიდა ფანჯარასთან, აიღო სიმონის ძველი პერანგი და ჩააცვა მგზავრს, მონახა ძველი ნიფხავი და ისიც მისცა.

— ჰა, ვხედავ რომ შენ პერანგიც არ გაქვს. ჩაიცვი და დასწევი აქ, სადაც გერჩიოს.

გაიძრო მგზავრმა გარედამ ტანსაცმელი, ჩაიცვა პერანგი და დაწვა.

დააქრო სანთელი მატრონამ და დაწვა ლოგინში ქმართან.

მატრონამ რაღაც პერანგის ნაჭერით დაიფარა პირი, წევს და არ ძინავს, სულ მგზავრზე ფიქრობს.

როგორც გაახსენდება თუ არა, რომ უკანასკნელი პურის ყუაც შეჭამეს და ხვალისათვის პური არ იქნება, როგორც გაახსენდება, რომ პერანგი და მისი ამხანაგი მისცა, მაშინვე დანაღვლიანდება და მოიწყენს. მაგრამ გაიხსენებს თუ არა მგზავრის ღიმილს—გული მთლად აუტოკდება.

დიდ ხანს არ დაეძინა მატრონას, ხედავს, რომ სიმონსაც არ სძინავს.

— სიმონ!

— ჰა!

— რაც გვქონდა პური, შევჭამეთ და ხვალისათვის რა ვქნათ, რომ არაფერი გვაქვს. ნათლია მელანიას ხომ ველარ ვსთხოვ.

— ვიცოცხლოთ და მაძღარი ვიქნებით.

დედა-კაცი გაჩუმდა.

— კაცი, როგორც სჩანს, კარგია, მხოლოთ რატომ არაფერს არ ამბობს თავის თავზე?

ალბათ არ შეიძლება.

— სიმონ!

— ჰა!

— ჩვენ კი ყველას ვაძლევთ, მაგრამ ჩვენ კი რატომ არავინ არაფერს არ გვაძლევს?

სიმონმა არ იცოდა რა ეთქვა და ეუბნება: «კმარა ქალო ამდენი ყბედობაც.» გადაბრუნდა მეორე გვერდზედ და დაიძინა.

თეოფ. ხუსკივაძე.

---

## ჟურნალ-გაზეთთაგან.

გაზეთ «დროებაში» ვკითხულობთ შემდეგს:

ვარძიის მონასტერი აშენებულია მეფე გიორგი III სა და გადიდებული მისის ასულის თამარ მეფისაგან. შესანიშნავია სიდიდე ეკკლესიისა, რომელიც ფრიალო კლდეშია გამოკვეთილი და ძველი ბიზანტიური მხატვრობა. ეკკლესიის მარცხენა კედელზე გამოხატულია: მეფე გიორგი III და ასული მისი თამარ მეფე იმ სახით, როგორც ჩვეულებრივ მათ ჰხატვენ.

ამავე მხრით კედლის განყოფილებაში არის ერთი პატარა ძველი ეკკლესია, ამ ეკკლესიის შუა ადგილზე ამოკვეთილია ორი სასაფლაო ერთი ერთმანეთის გვერდით და მიწით ამოვსებული.

ჯავახეთის მოხუცნი მათთან წინაპართა გადმოცემით მოგვითხრობენ, რომ ამ პატარა ეკკლესიაში

უნდა იყვნენ დასაფლავებულნი: გიორგი და ასული მისი თამარ მეფე... (დღესაც ხომ არავინ იცის ნამდვილად, სად არიან დასაფლავებულნი).

ჯავახეთელების აზრს ზოგიერთი საფუძველი აქვს: ა) გიორგის განსაკუთრებით ყურადღება მიქცეული ჰქონდა თავის სადგომის ვარძიის გამშვენიერებაზე; ბ) ეს პატარა ეკკლესია, შიგნით ეკკლესიაშივე, მეფეთა სურათისკენ, ამტკიცებს, რომ ორი ვინმე დიდი პირი უნდა იყოს დასაფლავებული; გ) გიორგის ეს ადგილი უყვარდა, მისი სამყოფიც აქ იყო და უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ გარდაცვალებისა, აქ დაასაფლავებდენ. ესეც ყველასთვის ცხადია, რომ მამის საყვარელს ადგილს და სასაფლაოს შვილი არ ჰკარგავს ხოლმე. ძველს დროში ამ ჩვეულებას უფრო პატივსაცა სცემდენ და შვილი მამის აკლდამაში იმარხებოდა.

ერთს ადგილას ამდენი ნაშრომ-ნაღვაწი, როგორც ვარძიაა, არსად უნდა იყოს სრულიად საქართველოში. აქ ყოფილა სადგური მოღვაწეთა. დღესაც სამყოფია სენაკები და ამ სენაკებში ათასი კაცი მეტი მოთავსდება. ყოველი სენაკის გამოკვეთილი თითო ორს-სამს გარეჯის გამოკვეთილს უდრის.

ეს არის კიდევ უფრო შესანიშნავი, რომ სამი ვერსის სიგრძეზე გამოუკვეთნიათ კლდე, როგორც ფარული გზა, ამ გზაზედ გაუკეთებიათ მილები, რომლითაც მომდინარებდა ხოლმე. ეს მილი მოდის დასავლეთ-აღმოსავლეთისკენ და შუა ალაგას ჩაუვლის დიდს გამოკვეთილს, ესრედ წოდებულ «თამარ მეფის დივანხანას». მერმე გაივლის იმ დროის საბაღე და სავენახე ადგილებს და ჩაერთვის მდინარე არდაღანს. როდესაც 1604 წ. ეს—მხარე საათაბაგო თათრებმა დაიპყრეს, მაშინ გავერანდა ეს მონასტერიც და სხვა ჩვენი ეკკლესიებიც. მაგრამ ხალხს მაინც არ დაუკარგავს უწინდელი სასოება და სიყვარული ამ ტაძრისადმი. ქართველი, ბერძენი, სომეხი, და, თითქმის თათარიც (ძველი ქართველები ორჯონიკიძე, ვაჩნაძე, სააკაძე და სხვ.) მოდიან და აქ დღესასწაულობენ ყოველ წელს მარიამობას.

რადგან მეცნიერი მოგზაური ადვილად ვერ მოხვდება ამ ალაგებს, ამიტომ დიდებულ ვარძიაზე დღესაც არ არის მიქცეული ის ყურადღება, რაც მისი მნიშვნელობის შესაფერია.

## მღვდელთა საყურადღებოდ.

არხიმანდრიტნი მიტრას, დეკანოზნი და მღვდელნი კამილავკას და სკუფიას მოიხდიან ღვთის მსახურების დროს მაშინ, როდესაც ტიბიკონით განწესებულია «თავ-მოხდილად დგომა.»

წირვაზე თავ-მოხდილნი უნდა იყვნენ:

1) მცირე შესვლაზე. ამ დროს არქიერს მიტრა ხურავს თავზე.

2) სახარების კითხვის დროს. ამ დროს არქიერს მიტრა ხურავს.

3) «რომელი ქერაბიმბთას» გალობის და «დიდი შესვლის» დროს.

4) როდესაც წარმოითქმება: «მიიღეთ და სჭამეთ და სული წმიდის გადმოწვევის დროს, «ღირს არსის» გალობის და მამაო ჩვენოს» თქმის დროს,

5) წმიდათა საიდუმლოთა გამოცხადების დროს.

მწუხრზე

6) განმანათლებელის ლოცვის დროს.

7) შესვლის დროს.

ცისკარზე

8) საცისკრო ლოცვების კითხვის დროს,

9) სახარების წაკითხვის დროს.

ვისაც აქვს, კამილავკა და სკუფია, ვალად ედგინება, რომ საკურთხეველში შესვლის დროს თავ-მოხდილნი უნდა სცენ თაყვანი ტრაპეზსა და ემთხვიონ მას. აგრეთვე როდესაც ამბიონზე დგარან სალოცავად, ანუ კვერექსს წარმოთქმენ, ყოველთვის თავმოხდილნი უნდა იყვნენ,

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: საქართველოს ეგზარხოსის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის არქიეპისკოპოზის პავლეს მოწოდება.—ცირკულიარი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა.—მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლის ახალი წესდება, გაგრძელება.—არა ოფიც. ნაწილი: პირველი კრება მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღდგინების საზოგადოებისა კავკასიაში.—წერილი რედაქტორთან.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.—ჭეშმარიტების აღდგინების გიმო.—საისტორიო მასალა.—მატიანე.—მოკლე სიტყვა.—რით ცხოვრებს კაცი.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—მღვდელთა საყურადღებოდ.

*Доз. ценсурою Кутаисъ, Іюня 14, 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.